„ჭეშმარიტად, განკითხვის დღის ნიშნებიდან ის არის, რომ ცოდნა გაქრება და გავრცელდება უმეცრება, გაიზრდება მრუშობა და ალკოჰოლის გამოყენება, შემცირდება კაცების რაოდენობა და გაიზრდება ქალების რაოდენობა ისე, რომ ორმოცდაათ ქალზე ერთი კაცი იქნება, რომელიც მათზე იზრუნებს

გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "გიამბობთ თქვენ ჰადისს, რომელიც ალლაჰის შუამავლისაგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვისმინე და რომელსაც სხვა არავინ მოგიყვებათ, გარდა ჩემისა. მე მოვისმინე, რომ ალლაჰის შუამავლი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: „ჭეშმარიტად, განკითხვის დღის ნიშნებიდან ის არის, რომ ცოდნა გაქრება და გავრცელდება უმეცრება, გაიზრდება მრუშობა და ალკოჰოლის გამოყენება, შემცირდება კაცების რაოდენობა და გაიზრდება ქალების რაოდენობა ისე, რომ ორმოცდაათ ქალზე ერთი კაცი იქნება, რომელიც მათზე იზრუნებს."

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ განკითხვის დღის მოახლოების ნიშნებიდან ერთ-ერთი არის შარიათის ცოდნის გაქრობა სწავლულების სიკვდილის შედეგად, ამის შედეგად უმეცრება გამრავლდება, გავრცელდება მრუშობა და გაიზრდება უზნეობა, ალკოჰოლის სმა გახშირდება, კაცების რაოდენობა შემცირდება, ხოლო ქალების რაოდენობა გაიზრდება იმდენად, რომ ორმოცდაათ ქალს ეყოლება მათი საქმეების მომგვარებელი და მათი ინტერესების დამცველი ერთი მამაკაცი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65021